

შპს “წინანდალი- XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შპს წინანდალი- XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები“-ის(შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულიაა ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2021 წლის 30 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

ზაზა ბახტურიძე

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა.....	9
განცხადება შესაბამისობის შესახებ.....	9
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	9
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	11
1. ამონაგები.....	14
2. დაბეგვრამდე მოგება	14
3. მოგების გადსახდის ხარჯი.....	15
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
5. გადავადებული გადასახადი	17
6. სესხი და საბანკო გარანტია	17
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	17
8. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები.....	17
9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება	17
10. ჩეულებრივი იჯარის ვალდებულებები	18
11. კაპიტალი	18
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	18
13. პირობითი ვალდებულებები.....	18
14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	19
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	19

2020 წლის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

დასახელება (GE)	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
მიმდინარე აქტივები	3,829,248.78	3,778,691.34	4022749.2
ნაღდი ფული	37246.78	9,855.38	134264
სავაჭრო მოთხოვნები	625478	636223	332480.66
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა მომდინარე აქტივები		0	455297
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3166524	3132612.96	3100707.5
საგადასახდო აქტივი			
გრძელვადიანი აქტივები	382971.94	463916.88	151886.79
არამატერიალური აქტივები			
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია			
მიწა			
ძირითადი საშუალებები	468748.44	554524.94	645133
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-85776.5	-90608.06	-493246.2
სულ აქტივები	4212220.72	4242608.22	4174635.9
კაპიტალი	3570043.86	3359675.88	2874937.2
სარეზერვო კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			273925
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	3359675.88	2601012.19	1956176.1
მიმდინარე მოგება-ზარალი	210367.98	758663.69	644836.05
ვალდებულებები	642176.86	896117.4	1299698.8
მიმდინარე ვალდებულებები	408744.4	236419.4	640000.75
სავაჭრო ვალდებულებები	408744.4	236419.4	604414.75
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახდო ვალდებულებები			
დარიცხული ვალდებულებები			
მიღებული ავანსები			35586
გრძელვადიანი ვალდებულებები	233432.46	659698	659698
გრძელვადიანი სესხი	233432.46	505947.2	659698
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4212220.72	4255793.28	4174635.9

შპს “წინანდალი- XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები“-ის

დირექტორი

ზაზა ბახტურიძე



2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება

დასახელება (GE)	2020 წელი	2019 წელი
	თანხა	თანხა
შემოსავლები	493159	1555358
შემოსავალი რეალიზაციიდან	493159	1469779
სხვა შემოსავალი		85579
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-51989.02	-505009.26
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-51989.02	-505009.26
საერთო მოგება	441169.98	1050348.74
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
მიწოდების დანახარჯები		
საოპერაციო და ადმინისტრაციული დანახარჯები	-77283.5	-110750.38
სესხის პროცენტი	-67742	-90326.61
ცვეთა და ამორტიზაცია	-85776.5	-90608.06
სულ საოპერაციო ხარჯები	-230802	-291685.05
საოპერაციო მოგება	210367.98	758663.69
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		
მოგება გადსახადამდე	210367.98	758663.69
მოგების გადასახადი 15%		
წმინდა მოგება	210367.98	758663.69

შპს “წინანდალი- XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები“-ის

დირექტორი

ზაზა ბახტურიძე

.....



2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი
კაპიტალი	3,633,600.88	2,874,937.19
სარეზერვო კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		0.00
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	210367.98	758,663.69
გაცემული დივიდენდები		0.00
მიმდინარე მოგება-ზარალი	3,843,968.86	3,633,600.88

შპს “წინანდალი- XXI საუკუნის

საუკეთესო ღვინოები“-ის

დირექტორი

ზაზა ბახტურიძე



2020 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი
	ლარი	ლარი
შემოსავალი	1561855.68	1625819
სულ ნედლეულის გასავალი:	(406,109.00)	(505,009.26)
ხელფასები	(63,437.00)	(110,750.38)
მარკეტინგის ხარჯები		
გადასახადები	(90,975.00)	(136,138.46)
სესხის პროცენტის დაფარვა	(62,742.00)	(90,326.61)
საოპერაციო ფულის გასავალი	(208,608.28)	(439,523.91)
ფულის ნაშთი საოპერაციო საქმიანობიდან	729,984.40	344,070.38
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხა		
ძირ. საშუალებების შეძენა ნაღდ ფულზე	(283,576.00)	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ნაშთი საოპერაციო და საინვესტ. საქმიანობიდან	446,408.40	344,070.38
სესხის აღება	436,478.00	
საწესდებო კაპიტალის შევსება		
შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან (სესხის აღება)		
გასავალი საფინანსო საქმიანობიდან (სესხის დაფრვა)	(855,495.00)	(468,479.00)
საწესდებო კაპიტალის შემცირება		
გასავალი საფინანსო საქმიანობიდან	(419,017.00)	(468,479.00)
წმინდა ფულის საფინანსო საქმიანობიდან	27,391.40	(124,408.62)
სულ წმინდა ფული	27,391.40	(124,408.62)
საწყისი ნაშთი სალარო და ბანკი	9,855.38	134,264.00
პერიოდის სალდო		
საკურსო სხვაობის ეფექტი		
საბოლოო ნაშთი სალარო და ბანკი	37,246.78	9,855.38

შპს “წინანდალი- XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები“-ის

დირექტორი

ზაზა ბახტურიძე



ზოგადი ინფორმაცია

შპს “წინანდალი- XXI საუკუნისსაუკეთესო ღვინოები“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2003 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თელავის რაიონი, ს.წინანდალი. შპს “წინანდალი- XXI საუკუნისსაუკეთესო ღვინოები“ არის ღვინის მწარმებელი კომპანია, დაარსებული საქართველოში. კომპანია ღვინის საწარმებელ ყურძნის ნედლეულს ძირითადად იძენს ფერმერებისგან. იგი ფლობს ღვინის წარმოებისა, შენახვისა, შესაბამის ტარაში ჩამოსხმისა და შეფუთვის აუცილებელ მოწყობილობა დანადგარებს. საწარმოებო დანადგარები განლაგებულია თელავის რაონში, სოფელ წინანდალში შპს “წინანდალი- XXI საუკუნისსაუკეთესო ღვინოები“-ს შენობაში. მზა პროდუქციის გაყიდვები ძირითადად ხორციელდება ბითუმად, მზა პროდუქციის სავაჭრო ობიექტებზე მიწოდების გზით და ამასთანავე ხორციელდება ექსპორტი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული აქციები მოცემულია ცხრილში.

ქვემოთ გთავაზობ ინფორმაციას კომპანიის მფლობელი და მისი დირექტორის სესახებ

	2020	2019
ზაზა ბახტურიძე	100 %	100 %
დირექტორი	ზაზა ბახტურიძე	

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2016 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

				აშშ დოლარი	ევრო
კურსი	2019	წლის	31	2.8677	3.2095
დეკემბრისთვის					
კურსი	2020	წლის	31	3.2766	4.0233
დეკემბრისთვის					

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

ზოგადად მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. კომპანია გადასულია ეწ . ესტონურ მოდელზე და რადგანც დივიდენდების გაცემა არ მომხდარა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება არ წამოქმნილა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება 20% წლიური განაკვეთები:

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს "ლუკასში" არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით

აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყოფეველებისთვის.

	2020 ლარი	2019 ლარი
საქონლის გაყიდვა	493159	1469779

2. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-51989.02	-505009.26
საერთო მოგება	441169.98	1050348.74
საოპერაციო და ადმინისტრაციული დანახარჯები	-77283.5	-110750.38
სესხის პროცენტი	-67742	-90326.61
ცვეთა და ამორტიზაცია	-85776.5	-90608.06

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

მოიცავს:

1.შეძენილი ნედლეულს(ყურძენი)

2. შესაფუთ ტარას (ბოთლი, ეტიკეტი, საცობი)

3. წარმოების დანახარჯებს.

საქონლის თვითღირებულებაში ჩათვლილი არ არის დანადგარების ცვეთა.

3. მოგების გადასახდის ხარჯი

	2020 ლარი	2019 ლარი
მიმდინარე გადასახადი	0	0
გადავადებული გადასახადი	(0)	(0)

4. საგაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020 ლარი	2019 ლარი
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	625478.00	636223.00
ავანსად გადახდილი თანხები	0	0

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020 ლარი	2019 ლარი
გასაყიდი საქონელი	3040326.74	3007767.18
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი(ნედლეული და მასალები)	126197.25	124845.78

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია 4 კატეგორიებად. ღვინის წარმოებასა და შენახვისათვის საჭირო დანადგარები, საოფისე ტექნიკა, საოფისე ავეჯი და შენობა-ნაგებობები. ყველა კატეგორიას ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდით 20 %-იანი განიკვეთით. ცხრილში მოცემულია ზირითადი საშუალებების მოძრაობა 2019-2020 წლებში

	ქონება 2019 წლის დასაწყისში	2019 წელს დამატებული	2019 წელს დარიცხული ცვეთა	ქონება 2019 წლის ბოლოს	ქონება 2020 წლის დასაწყისში	2020 წელს დამატებული	2020 წელს დარიცხული ცვეთა	ქონება 2020 წლის ბოლოს
საოფისე ავეჯი	1422.73		142.28	1280.45	1280.45			1024.37
კომპიუტერი	5262.36	3989.83	2280.51	11532.7	11532.7			9627.15
სხვადასხვა	273129.2		21038.32	165916.58	165916.58			157620.75
შენობა-ნაგებობები	174649.03		8732.5	165916.5	165916.5		8296.5	157620.75

სხვადასხვა თავის თავში მოიაზრებს: ყურძნის გადაამუშავებელ, ღვინის ჩამოსასხლელ, სპირტის გამოსახდელი და სხვა პროდუქციის წარმოებაში გამოყენებულ ძირითად საშუალებები.

5. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახადის ვალდებულება არ ერიცხება

6. სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას ერიცხება საბანკო სესხები.

	2020 წლის ბოლოს	2019 წლის ბოლოს
ბანკის სესხის	233432.46	505947.2

კომპანიას აქვს აღებული ოთხი სესხი, პირველი მათგანი აღებულია 2013 წლის 31 ივლისს 300 000 დოლარის ოდენობით საპროცენტო განაკვეთი 13%. მეორე სესხი აღებულია 2017 წლის 25 თებერვალს და 30 მარტს 300 000 და 200 000 ლარის ოდენობით საპროცენტო განაკვეთი 11,75%. მესამე სესხი

აღებულია 2017 წლის 27 სექტემბერს და 2 ოქტომბერს 100 000 და 200 000 ლარის ოდენობით, საპროცენტო განაკვეთი 11% . მეოთხე სესხი აღებულია 2018 წლის 30 მარტს 150 000 ლარის ოდენობით, საპროცენტო განაკვეთი 12,25%

7. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიას გააჩნია სავაჭრო ვალდებულებები.

	2020 წლის ბოლო ს	2019 წლის ბოლო ს
სავაჭრო ვალდებულებები	408744.4	236419.4

8. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტიო ანარიცხი არ შექმნილა, რადგან საქონელი არ იყიდება გარანტიით

9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება არ გააჩნია

10. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს მიწის ნაკვეთი სულ 21,9 ჰექტარი. ერთ ჰექტარზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება 400 ლარით.

11. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	2020 წელი	2019 წელი
კაპიტალი	3,633,600.88	2,874,937.19
სარეზერვო კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		0.00
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	210367.98	758,663.69
გაცემული დივიდენდები		0.00
მიმდინარე მოგება-ზარალი	3,843,968.86	3,633,600.88

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	37,246.78	9855.38
სულ	37,246.78	9855.38

13. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები
დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2020 წლის 1 ოქტომბერს.

შპს “წინანდალი- XXI
საუკუნის საუკეთესო
ღვინოები“-ის დირექტორი
ზაზა ბახტურიძე

.....
9.  